შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში ("მოწვევის ოფერტა")

ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge), 2013 წლის 1 აგვისტოს გამოქყვეყნებულ შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებაში ("მოწვევის ოფერტა") შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. **შეიცვალოს მოწვევის ოფერტის მე-7 მუხლი მთლიანად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**
   "7.1. წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით ონლაინის მიერ მის გაუქმებამდე. მოწვევის ოფერტის გაუქმება დასტურდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდიდან (www.gncc.ge) წინამდებარე მოწვევის ოფერტის ამოღებით/წაშლით ან ამ ვებ-გვერდზე ონლაინის მიერ გამოქვეყნებული განცხადებით მოწვევის ოფერტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე".

2. **შეიცვალოს მოწვევის ოფერტის დანართი #1 მთლიანად და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**
   "შპს "კავკასუს ონლაინის" მიერ ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვების მომსახურების ტარიფები და ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა:

ინტერნეტის გლობალურ რესურსთან 1 მბ/წმ გამტარუნარიანობის სიმძლავრით დაშვების საფასური ლარში, დღგ-ს გარეშე	ინტერნეტის გლობალურ რესურსთან დაშვებისათვის მოთხოვნილი გამტარუნარიანობის სიმძლავრის მოცულობა გამოხატური მბ/წმ ერთეულში	ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვებისათვის ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისი და ტექნოლოგია
32	1-100	100 მბ/წმ ეზერნეტ პორტი
31	101-200	1 გბ/წმ ოპტიკური პორტი
30	200-500	1 გბ/წმ ოპტიკური პორტი
29	500-1000	1 გბ/წმ ოპტიკური პორტი
27	1000-10 000	10 გბ/წმ ოპტიკური პორტი

ამ დოკუმენტით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის 2015 წლის 1 მარტიდან.